ვასილ გონაშვილი

აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი 1917 წლიდან დღემდე

აფხაზეთი საუკუნეების მანძილზე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ჩვენი საკვლევი თემა 1917 წლიდან მის სამართლებრივ მდგომარეობას ეხება. აფხაზეთის ტერიტორიაზე გაზრდილი იყო ამ პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ინტერესები, რუსეთის, მთიელთა და სხვ. აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში თავიდანვე ნათლად იკვეთება საქართველოსთან „ძმური“ ურთიერთობის დამყარების სურვილი და თანდათანობით ნაბიჯებიც იდგმება ამ მიმართულებით. ისინი კარგად ხედავდნენ აფხაზეთის გამოწვევებს და საფრთხეებს სხვა სახელმწიფოების მხრიდან. 1917 წლის 7 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა მიიღო დადგენილება სოხუმის ოლქის ისტორიული საზღვრების აღდგენის შესახებ და გაგრისა და ბზიფის რაიონები კვლავ შეიყვანა მის შემადგენლობაში. რეალურად ამით აფხაზეთი ოფიცალურად იქნა აღიარებული საქართველო-ამიერკავკასიის ნაწილად.[1] დადგენილებაში ვკითხულობთ: „აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი ისტორიული საზღვრები მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეტანის გზით“.[2]

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხრივ საინტერესოა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის 1918 წლის 9 თებერვლის თბილისში დადებული შეთანხმება. იგი ადგენდა: I. აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე, რომლის შემადგენლობაშიც შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო - ამჟამინდელი სოხუმის ოლქი. II. ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა უნდა შემუშავდეს ეროვნული თვითგა-

[1] ლეკიაშვილი თ., აფხაზეთი 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018, 81.

[2] დიასამიძე თ., აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2004, 13.

მორკვევის პრინციპის საფუძველზე დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ. III. იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი და საქართველო ისურვებენ სახელშეკრულებო ურთიერთობანი დაამყარონ სხვა ეროვნულ სახელმწიფოებთან, მაშინ ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას წინასწარ მოილაპარაკონ ამასთან დაკავშირებით".[3] ამ შეთანხმებას ჰქონდა ისტორიული მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ აღდგა აფზახეთის საზღვრები, აფხაზეთის მხარე იღებდა ვალდებულებას საქართველოსთან შეეთანხმებინა მისი საგარეო ურთიერთობები და შეთანხმების გარეშე არ დაედო საერთაშორისო ხელშეკრულება, რაც აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში საქართველოს მონაწილეობის გარკვეული წინაპირობა იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1918 წლის 11 ივნისს, იდება ხელშეკრულება („ხელშეკრულება საქართველოს და აფხაზეთს შორის") საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის, რომლითაც მხარეები აღიარებდნენ, რომ: შინაგანი მმართველობა აფხაზეთში ეკუთვნოდა აფხაზთა სახალხო საბჭოს, ხოლო საგარეო პოლიტიკის საკითხებში საქართველო, რომელიც შეთანხმების მონაწილე ორივე მხარის წარმომადგენელია, ფაქტობრივად გამოდის აფხაზეთთან ერთად; აფხაზეთის მმართველობისათვის აუცილებელი სახსრები გაიცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახსრებიდან; რევოლუციური წესრიგის უსწრაფესად დამყარებისა და მტკიცე ხელისუფლების ორგანიზაციისათვის აფხაზთა სახალხო საბჭოს დასახმარებლად და მის განკარგულებაში, სანამ ეს საჭიროა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გზავნის წითელი გვარდიის რაზმს; აფხაზეთის მიერ ჩამოსაყალიბებელი საჯარისო ნაწილებისათვის საჭირო აღჭურვილობას, ფორმის ტანსაცმელს და სახსრებს გასცემს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.[4] ამ შეთანხმებით ფაქტიურად დასტურდებოდა აფხა-

[3] Ментешашвили А., Исторические Предпосылки Современного Сепаратизма в Грузии, Тбилиси, 1998, 75.

[4] Ходжаа Р., Документы и Материалы Абхазского Народного Совета, 1918-1919, 8-10.

ზეთის ყოფნა საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზეთის ავტონომია შიდა საკითხებში და საგარეო ურთიერთობების განსაზღვრა საქართველოს მონაწილეობით, ავტონომიის ნიშნები საქართველოს შემადგენლობაში და, შესაბამისად, საქართველოს ვალდებულებები დახმარებოდა აფხაზეთს ფინანსურად და სამხედრო საკითხებში.

ძალიან მალე, მხარეების გადაწყვეტილებით ინიშნება აფხაზეთის საქმეთა მინისტრი. აფხაზეთის მხარე – აფხაზთა სახალხო საბჭო თვითონ ნიშნავს მას 25 ივლისს „საქართველოს და აფხაზეთს შორის ურთიერთობების შესახებ“ ოქმის საფუძველზე. საქართველოს მთავრობაც, თავის მხრივ, 6 აგვისტოს იღებს გადაწყვეტილებას „სამინისტროების ურთიერთობის წესისა აფხაზეთთან“, რომლითაც ადგენს, რომ საქართველოს თითოეული უწყების აფხაზეთთან ურთიერთობა უნდა წარმოებდეს აფხაზეთის საქმეთა მინისტრის „ცნობით და განსაზღვრულ შემთხვევაში, მის შუამავლობით“.[5]

1918 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქე ეროვნულ უმცირესობებს ეძლეოდათ 26 კაციანი ქვოტა, საიდანაც 3 წევრი უნდა ყოფილიყო აფხაზი.[6]

აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნაზე და ფაქტობრივი იურისდიქციის არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წელს 10 ოქტომბერს სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, დაითხოვა აფხაზეთის სახალხო საბჭო და დანიშნა ახალი არჩევნები. მის არჩევამდე კი დანიშნა დროებითი მმართველობა სოხუმის ოლქის კომისრის სახით; ასევე აფხაზეთის სახალხო საბჭოს

---

[5] სცსსა, ფ. 1891, აღწ. 1, საქ. 75, ფურც. 128; იქვე, ფ. 1938, აღწ. 1. საქ. 7, ფურც. 47.

[6] სცსსა, ფ. 1836, აღწ. 1, საქ. 85, ფურც. 86-87. გურგენიძე ე., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული: 1918-1921, თბილისი, 1990, 62-63.

დათხოვნის გამო უფლებამოსილება შეუწყვიტა აფხაზეთის საქმეთა მინისტრს და მისი უფლებამოსილება დროებით გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრს.[7] 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დებულებები „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა“ და „ქალაქის საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა“. აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო 40 წევრი, საბჭო აირჩეოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესით.[8] რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი ორგანოების - ქალაქების საბჭოების ხმოსნების არჩევას, დადგენილი იყო მათი რაოდენობის ნუსხა, საიდანაც კარგად ჩანს აფხაზეთის ტერიტორიის ფარგლები: სოხუმის ოლქის ქალაქებიდან სოხუმის ქალაქის საბჭოში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი იყო 40, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, გაგრაში 20-20, ხოლო სოჭის ოლქიდან – სოჭი – 24, ხოსტა და ადლერი – 20-20.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 13 მარტს მიიღო აფხაზეთის ავტონომიის წინაპირობის კიდევ ერთი აქტი „მთავრობის დეკლარაცია აფხაზეთის შესახებ“, რომლის მიხედვით, აფხაზეთს საშინაო საქმეებში მიენიჭა სრული ავტონომია, ხოლო აფხაზეთის ავტონომიის თაობაზე აღინიშნა, რომ განისაზღვრებოდა კონსტიტუციით („კონკრეტული გაფარგვლა აფხაზეთის ავტონომიისა მოხდება კონსტიტუციით“).[9] ამ აქტში საქართველოს მთავრობა უკვე პირდაპირ იყენებს ტერმინს „აფხაზეთის ავტონომია“.

1919 წლის 20 მარტს, აფხაზეთის სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეული იყო 1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში ჩატარებული

---

[7] სცსსა, ფ. 1938, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 18.

[8] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №9, 14 იანვარი 1919 წელი. დიასამიძე თ., რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსტ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2002, 32.

[9] სცსსა, ფ. 1891, ანაწ. 1, საქ. 211, ფურც. 93. დიასამიძე თ., რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსტ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2002, 35.

პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად, 1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულებით“, მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“. აქტში ვკითხულობთ: „აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, არჩეულმა საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო სამართლის საფუძველზე, თავის, 1919 წლის 20 მარტის სხდომაზე აფხაზეთის სახელით დაადგინა: I. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული; II. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებებს შორის ურთიერთობების განსაზღვრისათვის საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოსაგან აირჩევა შერეული კომისია წევრების თანაბარი რაოდენობით და საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების მიღების შემდეგ შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.[10] ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც აფხაზეთის ორგანოებმა ოფიციალურად აღიარეს აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს აქტის საპასუხოდ, მომდევნო დღეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც ხაზს უსვამდა აქტის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას: „ამიერიდან მტკიცე საფუძველი ეყრება აფხაზეთის ერების თავისუფალ ცხოვრებას საქართველოში. ამიერიდან თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ბევრმა დიდმა სახელმწიფომაც კი. აღსდგა ისტორიული, ბუნებრივი ერთობა ორ მოძმე ერთა შორის ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე მოზღვავებული

[10] Ментешашвили А., Исторические Предпосылки Современного Сепаратизма в Грузии, Тбилиси, 1998, 78.

დემოკრატიის მტრების შესაძრწუნებლად და მოყვრის საკეთილ-დღეოდ და საბედნიეროდ."[11]

ავტონომიის სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში აღიარებს აფხაზეთის სახალხო საბჭო 1919 წლის 15 აპრილსაც, განცხადებაში, „მოხალისეთა არმიის მემორანდუმის შესახებ ინგლისელთა სარდლობისადმი". იგი ხაზს უსვამს რა, რომ აფხაზეთის ერთადერთი უფლებამოსილი და სრულუფლებიანი წარმომადგენელია აფხაზეთის სახალხო საბჭო, არჩეული ყველაზე დემოკრატიულ საწყისებზე, საქვეყნოდ აცხადებს: „აფხაზეთმა დაამყარა გარკვეული და მყარი კავშირი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, შევიდა რა მასში როგორც ავტონომიური ნაწილი და ამით სავსებით განსაზღვრა საქართველოსთან საერთო სახელმწიფო საზღვრები; აფხაზეთის დემოკრატია საქართველოს დემოკრატიასთან კავშირში შეძლებს აფხაზი ხალხის დაუპატიჟებელი „წარმომადგენლების" ალაგმვას, კონტრრევოლუციისა და მისი აგენტების დამარცხებას და აზეიმებს რევოლუციის დიად ლოზუნგებს".[12]

ყურადსაღებია აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1919 წლის 30 მარტს შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაც. მართალია მისი მუშაობა დაძაბულ რეჟიმში წარიმართა, თუმცა პირველივე სხდომაზე უპრობლემოდ მიიღო აფხაზეთის კონსტიტუციის პირველი პუნქტის პროექტი: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული"[13]. კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტის შემუშავების საკითხი მოგვიანებით გადაიდო საქართველოს კონსტიტუციის დამტკიცებამდე, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ საქართველოს კონსტიტუციით უნდა დამტკიცებულიყო ავტონომიის ნიშნები და უფლებამოსილების ფარგლები. კომისიის მუშაობის დროს არსე-

---

[11] სცსსა, ფ. 1833, აღწ. 1, საქ. 52, ფურც. 7, 8. დიასამიძე თ., რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში − სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსტ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2002, 36.

[12] Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия − Историческая Область Грузии, Тбилиси, 1997, 436-437.

[13] ლეკიაშვილი თ., აფხაზეთი 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018, 81.

ბობდა 3 პროექტი. „სამივე პროექტით აღიარებული იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა როგორც ავტონომიური ერთეული.“[14] საბოლოო სარედაქციო კომისიის მიერ შექმნილი კონსტიტუციის პროექტი აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაამტკიცა 1920 წლის 16 ოქტომბერს.[15] ეს პროექტი საჭიროებდა შემდგომ დამტკიცებას საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, რომელმაც „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ დებულების“ პროექტი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს.[16]

დებულების პირველ მუხლში ნათქვამი იყო, რომ აფხაზეთი - მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვიდან კავკასიონამდე – წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს და ამ საზღვრებში ავტონომიურად მართავს თავის საშინაო საქმეებს. დებულების მიხედვით, აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანო იქნებოდა სახალხო საბჭო, რომელიც ორი წლით აირჩეოდა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. დეპუტატთა რაოდენობა იყო 30. აღმასრულებელი ორგანო იქნებოდა აფხაზეთის კომისარიატი, რომლის წევრებსაც სახალხო საბჭო აირჩევდა. აფხაზეთის სახლმწიფო ენა იქნებოდა ქართული, მაგრამ სახალხო საბჭოს შეეძლო სკოლებში, დაწესებულებებში საქმის წარმოებისათვის გამოეყენებინა ადგილობრივი ენები.[17]

1920 წლის 7 მაისს დაიდო საზავო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის[18], რომლითაც „რუსეთი უპირობოდ აღიარებს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თვითმყოფადობას“ (მუხლი 1). ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგინდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი: „სახელმწიფო საზღვარი სა-

[14] იქვე, 132.
[15] იქვე, 134.
[16] იქვე, 135.
[17] იქვე, 136.
[18] Оккупация и Фактическая Аннексия Грузии, О Политической и Правовой Оценке Нарушения Договора Между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 года, Документы и Материалы, Тбилиси, 1990, 75-83.

ქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე ახახ ას მთამდე.“ გარდა ამისა, რუსეთმა უპირობოდ ცნო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფილი გუბერნიები და მხარეები, მათ შორის სოხუმის ოლქი (მუხლი 4.1.).

აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციითაც განისაზღვრა. კონსტიტუციის მე-11 თავი ეთმობოდა „ავტონომიურ მმართველობას“. ადგილობრივი ავტონომიური მმართველობა, ბათომის მხარესა და ზაქათალის ოლქთან ერთად ენიჭებოდა აფხაზეთს – სოხუმის ოლქს. მის სტატუსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, კომპეტენციას და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობას კონსტიტუცია არ განსაზღვრავდა. იგი მხოლოდ ადგენდა, რომ ავტონომიურ მმართველობათა დებულებები ცალკე კანონით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული.[19]

საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 28 მარტს მიღებულ იქნა „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სტრუქტურის საკითხის შესახებ“ ბათუმის თათბირის ოქმი, რომლითაც დაადგინეს, რომ „აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე ღიად რჩება საკითხი საბჭოთა აფხაზეთის ფედერაციაზე რსფსრ-ს ან საქართველოს სსრ-თან და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად.“[20] 21 მაისს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ“. იხელმძღვანელა რა ერების თვითგამორკვევის უფლებით, შექმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და მიიჩნია, რომ საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის ურთიერთობის საკითხი გადაწყდება როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე.“[21] აღნიშნული დაადასტურა აფხაზეთის ყრილობამ

---

[19] საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, მუხლი 107-108.

[20] Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – Историческая Область Грузии, Тбилиси, 1997, 469.

[21] ლეკიაშვილი თ., აფხაზეთი 1918-1921 წლებში, თბილისი, 2018, 66.

1921 წლის 28 მაისს.[22] მოგვიანებით, 16 ნოემბერს რკპ(ბ) ცკ-ს კავბიუროს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების შესახებ“, რომლითაც „ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაუმართლებლად ჩაითვალა დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა და წინადადება მიეცა ამხ. ეშბას წარმოედგინა თავისი საბოლოო დასკვნა აფხაზეთის შესვლაზე საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ხელშეკრულების საფუძველზე ან ავტონომიური ოლქის საფუძველზე – რსფსრ-ში“.[23] შედეგად, 1921 წლის 16 დეკემბერს დაიდო საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება.[24] მართალია, აფხაზეთს ეწოდებოდა სოციალისტური რესპუბლიკა და არ მოიხსენიებოდა ავტონომიად, მაგრამ ამ ხელშეკრულებით იგი არ იყო დამოუკიდებელი რესპუბლიკა, არამედ წარმოადგენდა ფართო უფლებამოსილების მქონე ფედერაციული სახის წარმონაქმნს საქართველოს შემადგენლობაში. აღნიშნული შეთანხმება საკმაოდ ლაკონური დოკუმენტი იყო და ძირითადად უფლებამოსილების გამიჯვნას ეხებოდა. საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ ერთმანეთთან ამყარებდნენ სამხედრო, პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ კავშირს. მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ისინი ქმნიდნენ გაერთიანებულ სამინისტროებს (კომისარიატებს), ეს სფეროები იყო: სამხედრო, საფინანსო, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტის, სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, საგანგებო კომისია, მუშურ-გლეხური ინსპექცია. გაერთიანებული კომისარიატების მართვის წესი და ფორმა დამატებით დგინდებოდა ორივე მთავრობის განსაკუთრებული შეთანხმებით. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის საგარეო ურთიერთობები მთლიანად რჩებოდა საქართველოს გამგებლობაში, ასევე ყველა სამხარეო გა-

---

[22] დიასამიძე თ., რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსტ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2002, 67.

[23] Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – Историческая Область Грузии, Тбилиси, 1997, 481-482.

[24] Качарава Ю.М., Меликадзе М.Е., Тоидзе Л.М., Цагарейшвили Ш.В., Борьба за Упрочение Советской Власти в Грузии, Тбилиси, 1959, 177-178.

ერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში, აფხაზეთი შედიოდა საქართველოს მეშვეობით, რომელიც მას უთმობდა თავისი ადგილების 1/3-ს. რაც შეეხება რკინიგზას, იგი საქართველოს კომპეტენციიდანაც კი გადიოდა და უშუალოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გამგებლობაში გადადიოდა, ხოლო საგარეო ვაჭრობა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის გამგებლობაში იყო.

სტატუსი საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციით. 1922 წლის 2 მარტის საქართველოს საბჭოური კონსტიტუციით საქართველოს სსრ შემადგენლობაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შეყვანილ იქნა აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სსრ.[25] მაგრამ განსხვავებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, აფხაზეთს არ ჰქონდა ავტონომიის სტატუსი – იგი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად მოიხსენიებოდა, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს სს რესპუბლიკას „ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“,[26] რომელიც დაიდო 1921 წლის 16 დეკემბერს.

1922 წლის 12 მარტს დაიდო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამოკავშირეო ხელშეკრულება, მასში გაერთიანდა აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. დეკემბერში მათ მიიღეს ამიერკავკასიის სფსრ სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია.[27] შესაბამისად, საქართველოს სსრ, თავის შემადგენელ ნაწილთან – აფხაზეთის სსრ-თან ერთად გაერთიანდა ამიერკავკასიის სფსრ-ში. 1922 წლის 30 დეკემბერს კი შეიქმნა საბჭოთა კავშირი, სადაც ამიერკავკასიის სფსრ-ც გაერთიანდა თავის სუბიექტებთან ერთად.

---

[25] საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის 1922 წლის კონსტიტუცია, მუხლი 1, შენიშვნა.

[26] იქვე.

[27] ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, №2, 1923, 18-27.

ყურადსაღებია, რომ 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია[28] აფხაზეთს მოიხსენიებდა, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას, თუმცა მის საფუძველზე მიღებული საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციით, ისევე როგორც საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციით, აფხაზეთი უფრო ფართო სტატუსის მქონე - „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ იყო.[29]

1925 წლის 1 აპრილს აფხაზეთი საბჭოების III ყრილობაზე იღებს აფხაზეთის სსრ კონსტიტუციას, თუმცა მისი იურიდიული ძალა საკამათო იყო. „როგორც ცნობილია, აღნიშნული დოკუმენტი არასოდეს შესულა ძალაში და არც კი გამოქვეყნებულა XX ს. 60-იან წლებამდე. შესაბამისად, მას არავითარი ლეგიტიმური ძალა არ ჰქონია“.[30] აფხაზეთის აღნიშნული კონსტიტუცია შეიცავდა გარკვეულ ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმებს, რომლის მიხედვითაც, იგი არა ფედერაციული ერთეული, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოდიოდა კონფედერაციის შემადგენლობაში. ერთი მხრივ, კონსტიტუციაში მითითებული იყო რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნორმა, რომელიც აღიარებდა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას: „აფხაზეთის სსრ, ნებაყოფლობით გაერთიანდა რა საქართველოს სსრ-თან განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში და ამ უკანასკნელის შემადგენლობაში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“ (მუხლი 4), ასევე ნორმა აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ, რომ-

---

[28] სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, №80, თფილისი, 1924.

[29] 1924 წლის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია არაპირდაპირ აღიარებდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებს. ადგენდა, რომ საქართველოსგან დამატებით „აჭარისტანისა“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, ასევე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოში ირჩევდნენ თითო წარმომადგენელს.

[30] Gamakharia J., Assays from the History of Georgia, Abkhazia from Ancient Times till the Present, Tbilisi, 2011, 427. ყალიჩავა კ., კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2019, 127.

ლის მიხედვით მისი მოქალაქეები ამავდროულად ითვლებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად: „აფხაზეთის სსრ მოქალაქეები ინარჩუნებენ რესპუბლიკის მოქალაქეობას და არიან ა/კ სფსრ და სსრ კავშირის მოქალაქეები“ (მუხლი 5.2). ამ ორი ნორმით იყო აღიარებული აფხაზეთის, როგორც ფართო უფლებამოსილების მქონე სუბიექტის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა. კონსტიტუციის სხვა მუხლები დამოუკიდებელი სუვერენული სახელწიფოსთვის დამახასიათებელი იყო, რომელიც შედიოდა სახელმწიფოთა გაერთიანებაში საქართველოს გვერდის ავლით, კერძოდ, „აფხაზეთის სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სხვა რაიმე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. აფხაზეთის სსრ სუვერენიტეტი, ასფსრ-სა და სსრ კავშირში მისი ნებაყოფლობითი შესვლის გამო – შეზღუდულია მხოლოდ ამ კავშირების კონსტიტუციებში მითითებულ ფარგლებში და საგნებზე“ (მუხლი 5.1.). ეს უკანასკნელი ნორმა, ფაქტობრივად, უგულებელყოფდა აფხაზეთის შესვლას საქართველოს შემადგენლობაში და აღიარებდა მისი სუვერენიტეტის შეზღუდვას მხოლოდ ამიერკავკასიის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით, და არა საქართველოს კონსტიტუციითაც. შესაბამისად, იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა ამავე კონსტიტუციის მე-4 მუხლთან, ასევე საბჭოთა კავშირის და საქართველოს კონსტიტუციებთან. აფხაზეთი ინარჩუნებდა თავისუფალი გასვლის უფლებას როგორც ა/კ სფსრ შემადგენლოდან, ისე სსრ კავშირიდან (მუხლი 5.3.). კონსტიტუციის ტექსტი არ შეიცავდა რაიმე სახის ჩარევის ფორმებს საქართველოს მხრიდან, აფხაზეთის აქტების შეჩერების ან მის ორგანოთა ფორმირებაში მონაწილეობის ფორმით. კონსტიტუციაში ჩამოთვლილი იყო აფხაზეთის მმართველობის ის სფეროები, რაზეც აფხაზეთი ქმნიდა სამინისტროებს, ხოლო უფლებამოსილების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ საბჭოთა კავშირს რჩებოდა („საგარეო საქმეთა, სამხედრო-საზღვაო საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, გზათა მიმოსვლის, ფოსტა და ტელეგრაფის მმართველობა“) (მუხლები 44-45), საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებული გამგებლობის გვერდის ავლით.

სტატუსი საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციით. 1926 წლის 5 ივლისს სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელი კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“, რომლის მიხედვით აფხაზეთის სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა გადაემუშავებინა აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია იმ პრინციპების მიხედვით, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ კონსტიტუციას.[31]

საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციაც აფხაზეთს არა ავტონომიურ რესპუბლიკას, არამედ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას უწოდებდა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა მათ შორის დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით და ეწოდებოდა „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ (მუხლი 9).[32] აფხაზეთს, აჭარის ავტონომიისგან განსხვავებით, შედარებით მეტი გარანტიები და უფლებამოსილება ჰქონდა. მას კონსტიტუციაში ეხებოდა სპეციალური მე-5 თავი, რომლის მიხედვით აფხაზეთის სს რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ხოლო მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში. აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო აჭარისგან განსხვავებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის და აფხაზეთის ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები, რაც შეეხება აფხაზეთის ორგანოების ფორმირების წესს, სტატუსს და უფლებამოსილებას, არსებითად არ განსხვავდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან.

---

[31] ერემოვი გრ., საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, 1983, 97-98. დიასამიძე თ., რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსტ (1989-2001), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბილისი, 2002, 99-100.

[32] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1927, 1-44.

აფხაზეთის აღმასრულებელ განმკარგულებელი ორგანო იყო სახალხო კომისართა საბჭო – მთავრობა, რომელიც შედგებოდა სახალხო კომისარიატებისგან (სამინისტროებისგან), აფხაზეთს დამოუკიდებლად გააჩნდა საკანონმდებლო აქტების მიღების უფლება, იქმნებოდა შემდეგი კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის. ასევე აფხაზეთის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა, შრომის და მუშათა-გლეხთა ინსპექციის კომისარიატების რწმუნებულნი, რომელთაც აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ენიჭებოდათ გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლება. აჭარისგან განსხვავებით, აფხაზეთის მინისტრების საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხი უფრო მაღალი იყო - ისინი მოქმედებდნენ საქართველოს კომისარიატებისგან დამოუკიდებლად, თუმცა აწვდიდნენ ერთმანეთს ცნობებს თავ-თავისი მუშაობის შესახებ (მუხლი 87). გარდა ამისა, მართალია საქართველოს ყველა აქტს სავალდებულო ძალა ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზეც, თუმცა აფხაზეთის ორგანოებს უფლება ჰქონდათ დამატებით „აღნიშნული აქტების განსავითარებლად და შესავსებად“ გამოეცათ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ აფხაზეთის ტერიტორიაზე. საკუთარი საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება ჰქონდათ აფხაზეთის ორგანოებს აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროშიც – „გაერთიანებული სახელმწიფოებრივი მმართველობის განსავითარებლად“ (მუხლი 89). საქართველოს შესაბამის ორგანოებს (ყრილობას და მის აღმასრულებელ კომიტეტს) გააჩნდათ ადმინისტრაციული ზედამხედველობის ფუნქცია – მათ უფლება ჰქონდათ გაეუქმებინათ აფხაზეთის ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები, რაც კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. აფხაზეთს გააჩნდა ე.წ. ნარჩენი კომპეტენცია და იმ სფეროებზე დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტების გამოცემა, რაც არ იყო ზემოაღნიშნულ სფეროებში და რაზეც არ იყო შექმნილი კომისარიატი. აჭარას კი მხოლოდ იმ მმართველობის დარგებში გააჩნდა საკანონმდებლო აქტების გამოცე-

მის უფლება, რასაც იგი „ავტონომიურად განაგებდა“ (მუხლი 82). აჭარისგან განსხვავებული იყო ისიც, რომ აჭარის კონსტიტუცია მიიღებოდა აჭარის ყრილობის მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სრულიად საქართველოს ყრილობის მიერ. რაც შეეხება აფხაზეთის კონსტიტუციას, მისი მიღებისა და დამტკიცების წესი არ იყო მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში და მხოლოდ მოხსენიებული იყო მისი არსებობის შესახებ, რის საფუძველზეც იქმნებოდა აფხაზეთის ორგანოები (მუხლი 86). აფხაზეთს დამატებითი გარანტიები გააჩნდა შემოსავლების სფეროშიც, მას რჩებოდა ყველა ადგილობრივი შემოსავალი და ამავდროულად ამ სფეროზე ვრცელდებოდა სსრკ და ამიერკავკასიის ფედერაციის, და არა საქართველოს, კანონმდებლობა: „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ადგილობრივი შემოსავალ-გასავალი ერთიანდება ადგილობრივ ბიუჯეტად საერთო-საკავშირო და ამიერკავკასიის საფედერაციო ძირითადი კანონმდებლობის წესით“ (მუხლი 91).

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 1927 წლის მარტში აფხაზეთმაც მიიღო თავისი კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში აღარ მოდიოდა, იზიარებდა საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებულ ნორმებს აფხაზეთთან მიმართებაში და მცირედით ავსებდა მას. კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის რესპუბლიკა იყო სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით „ამიერსავკავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში“ (მუხლი 1). აფხაზეთის მოქალაქენი რესპუბლიკური მოქალაქეობის შენარჩუნებით იყვნენ ერთსა და იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის, ა/კ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებიც (მუხლი 6). ამ კონსტიტუციით პირველად იქნა აღიარებული აფხაზეთის სახელმწიფო ენად ქართული ენაც: „აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის დაწესებულებათათვის სახელმწიფო ენა არის: აფხაზური, ქართული და რუსული“ (მუხლი 8). იქამდე აფზახეთის სახელმწიფო ენად ყოველთვის ითვ-

ლებოდა რუსული ენა. ცალკე თავი ეთმობოდა აფხაზეთის რესპუბ-ლიკის სახელშეკრულებო ურთიერთობას საქართველოს რესპუბ-ლიკასთან (თავი 2). აფხაზეთი განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს რესპუბლიკაში, ხოლო მისი მეშვე-ობით – ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში (მუხლი 17). აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები მონაწილეობდნენ სრუ-ლიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაში (მუხლი 18), ეს უკანასკ-ნელი აფხაზეთის წარმომადგენლებს ირჩევდა, თვით ყრილობის მი-ერ განსაზღვრული რაოდენობით სრულიად საქართველოს ცენ-ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად (მუხლი 19). აფ-ხაზეთის ბიუჯეტი თავდაპირველად მტკიცდებოდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ხოლო შემდეგ, როგორც საქართველოს საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის შემად-გენელი ნაწილი, მტკიცდებოდა სრულიად საქართველოს ცენტრა-ლური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (მუხლი 25). აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ყრილობის გამგებ-ლობას განეკუთვნებოდა: აფხაზეთის რესპუბლიკის მთელი საში-ნაო პოლიტიკის და სახალხო მეურნეობის საერთო ხელმძღვანე-ლობა, ასევე ამნისტიისა და შეწყალების უფლება იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც მსჯავრი დაედო აფხაზეთის რესპუბლიკის ორგანოების მიერ, ასევე რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებათა აღდგენის უფლება (მუხლი 27). აფხაზეთის რესპუბლი-კის სახელმწიფო ღერბზე წარწერა გამოსახული იყო სამ ენაზე: აფხაზურად, ქართულად და რუსულად (მუხლი 101).

აფხაზეთის ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომი-ტეტისა და მისი პრეზიდიუმის, აგრეთვე აფხაზეთის ხელისუფ-ლების ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრებოდა აფხაზეთის კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 20).

1931 წლის თებერვალში აფხაზეთის ყრილობის გადაწყვეტი-ლებით ცვლილებები შევიდა აფხაზეთის კონსტიტუციაში და აფ-ხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად, შესაბამისად, სა-ქართველოს შემადგენლობაში შევიდა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. ამასთან, გაუქმდა განსაკუთრებული ხელშეკრულე-

ბის არსებობის თაობაზე ნორმები.[33] ამის საფუძველზე, 1931 წლის 19 თებერვალს საქართველოს საბჭოების ყრილობამაც მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, გააუქმა მხარეებს შორის 1921 წლის 16 დეკემბერს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება[34] და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში, რითაც აფხაზეთზე აჭარის მსგავსი, ავტონომიური რესპუბლიკის რეგულაციები გავრცელდა.

1935 წლის 7 იანვარს მიღებულ იქნა აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია[35], რომელიც წარმოადგენდა აფხაზეთის 1927 წლის კონსტიტუციის ახალ რედაქციას, გარკვეული ცვლილებებით, სრულად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას და ჯდებოდა ავტონომიისთვის დამახასიათებელ ფარგლებში.

სტატუსი საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციით.[36] 1937 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთი „ავტონომიურ რესპუბლიკად“ იწოდება და სრულად გათანაბრებულია აჭარის სტატუსთან. საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული აფხაზეთის ადმინისტრაციული მოწყობა. იგი შედგება: გაგრის, გალის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქ სოხუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის (მუხლი 20). თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონს, მოქმედებს საქართველოს კანონი (მუხლი 23).

---

[33] Гамахария Дж., Гогия Б., Абхазия – Историческая Область Грузии, Тбилиси, 1997, 503-504.

[34] საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, №9, 1931, 195-196.

[35] Съезды Советов Союза СССР, Союзных и Автономных Советских Социалистических Республик: Сборник Документов в Семи томах, 1917-1937, 766-781.

[36] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გაზ. „ჩვენი საყვირი“, თბილისი, 1937.

ავტონომიურ რესპუბლიკებს ჰქონდათ თავისი კონსტიტუციები, რომლებიც ითვალისწინებდა ავტონომიის თავისებურებებს და შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას (მუხლი 24). აფხაზეთის კონსტიტუციას იღებდა მისი უზენაესი საბჭო და ამტკიცებდა საქართველოს უზენაესი საბჭო.

კონსტიტუციაში აღარ იყო მითითებული აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის თაობაზე და მასზე ვრცელდებოდა საქართველოს კონსტიტუციითვე ავტონომიური რესპუბლიკებისთვის დადგენილი რეგულაციები. ავტონომიურ რესპუბლიკას ჰყავდა თავისი წარმომადგენელი საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში, რომელსაც გააჩნდა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის სტატუსი (მუხლი 34). ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აქტების გაუქმების უფლება ჰქონდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს (მუხლი 36.დ). ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას წარმართავდა და ამოწმებდა საქართველოს მთავრობა (მუხლი 48.დ) და უფლება ჰქონდა შეეჩერებინა მისი აქტები (მუხლი 49).

ავტონომიის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და საკანონმდებლო ორგანო იყო უზენაესი საბჭო, რომელიც აირჩეოდა ავტონომიის მოსახლეობის მიერ 4 წლის ვადით. „წარმომადგენლობის ნორმებს“ განსაზღვრავდა ავტონომიის კონსტიტუცია. უზენაესი საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს უზენაეს საბჭოს ავტონომიის კონსტიტუციას და ახალი რაიონებისა და ქალაქების შექმნას და მათი საზღვრების დადგენას; ამტკიცებდა ბიუჯეტს; ანიჭებდა ავტონომიის საპატიო წოდებებს. ავტონომიის უზენაესი საბჭო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ პრეზიდიუმს, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრებოდა ავტონომიის კონსტიტუციით. საბჭო ასევე ქმნიდა ავტონომიის უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს – ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (სახალხო კომისართა საბჭოს). მთავრობა ანგარიშვალდებული იყო უზენაესი საბჭოს, ხოლო სესიებს შორის პერიოდში – მისი პრეზიდიუმის წინაშე. ავტონომიის მთავრობა გადაწყვეტილებებს იღებდა სსრკ და საქართველოს მთავრობათა აქტების საფუძველზე და მათ შესასრუ-

ლებლად და ამოწმებდა მათ შესრულებას. ავტონომიის მთავრობას უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ავტონომიის მინისტრთა და საქალაქო/სარაიონო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის აქტები, ასევე შეეჩერებინა საქალაქო/სარაიონო საბჭოების აქტები.

ავტონომიის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და შემდეგი კომისრები (მინისტრები): მიწათმოქმედების, ფინანსთა, შინაგანი ვაჭრობის; შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ჯანმრთელობის დაცვის; განათლების; ადგილობრივი მრეწველობის; კომუნალური მეურნეობის; სოციალური უზრუნველყოფის; საგზაო სამმართველოს უფროსი; დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი. ასევე რესპუბლიკის მეურნეობის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი საბჭოს თანხმობით, შეიძლება შექმნილიყო: კვების, მსუბუქი და საწყეო მრეწველობის სამინისტროები. ისინი აქტებს გამოსცემდნენ სსრკ, საქართველოს და ავტონომიის კანონთა, ავტონომიის მთავრობის, ასევე საქართველოს შესაბამისი სამინისტროს აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. ავტონომიის სამინისტროები ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო მმართველობის მათთვის მიკუთვნებულ დარგებს და ექვემდებარებოდნენ როგორც ავტონომიის მთავრობას, ასევე საქართველოს სათანადო სამინისტროს (მუხლები 59-75). ამდენად, ავტონომიურ რესპუბლიკებს შეიძლება სამინისტროები შეექმნათ ყველა სფეროზე, რაზეც ქმნიდა საქართველო, მათ შორის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სფეროებზე. ამ სფეროებზე სამინისტროების/განყოფილებების შექმნის უფლება არ ჰქონდა ავტონომიურ ოლქს.

ქალაქ სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს განყოფილებები ექვემდებარებოდნენ როგორც თვით შესაბამის საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ასევე აფხაზეთის შესაბამის კომისარიატს (მუხლი 108). ანალოგიური წესი იყო აჭარაშიც. ამ ორგანოთა ქვემდებარეობა ავტონომიის ორგანოებით შემოიფარგლებოდა.

ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ირიცხებოდა ადგილობრივი მეურნეობის შემოსავალი, მათ ტერიტორიაში მიღებული სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები და ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები (გამოსაღებები) სსრკ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით (მუხლი 116).

ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნდა თავისი უზენაესი სასამართლო (მუხლი 117), რომლის საქმიანობას ზედამხედველობდა საქართველოს უზენაესი სასამართლო (მუხლი 119). ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს ირჩევდა შესაბამისი ავტონომიის უზენაესი საბჭო 5 წლის ვადით (მუხლი 121). ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასევე საქართველოში დადგენილი საერთო წესით იქმნებოდა სახალხო სასამართლოები, რომლებსაც ირჩევდნენ რაიონის მოქალაქეები საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით. ავტონომიის ტერიტორიაზე შექმნილი სახალხო სასამართლოებისა და ავტონომიის უზენაესი სასამართლოს ქვემდებარეობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი. სახალხო სასამართლოების საქმიანობასაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ზედამხედველობდა. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამართალწარმოება ხორციელდებოდა ქართულ და ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე (მუხლი 124). განსაზღვრული იყო ასევე ავტონომიური რესუბლიკის პროკურატურის სტატუსი, ავტონომიას ჰყავდა თავისი პროკურორი, რომელსაც საქართველოს პროკურორის მსგავსად პირდაპირ საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი ნიშნავდა (მუხლი 128). აღსანიშნავია, რომ ავტონომიის პროკურორის დანიშვნისას არ იყო გათვალისწინებული საქართველოს პროკურორის რაიმე ფორმით მონაწილეობა, მაგალითად, წარდგინება, რაც, პრაქტიკულად, საკმაოდ აძლიერებდა ავტონომიის პროკურორს და საქართველოს პროკურატურისგან დამოუკიდებელს ხდიდა.

კანონები და საქართველოს და ავტონომიის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმებისა და სახალხო კომისართა საბჭოების აქტები ქვეყნდებოდა ქართულ და ავტონომიის ენაზე (მუხლები 157-158).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ავტონომიებზე ზედამხედველობა გამოიხატებოდა იმით, რომ მტკიცდებოდა მათი კონსტიტუციები, ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და სამინისტროები ამავდროულად ექვემდებარებოდნენ საქართველოს შესაბამის სამინისტროს. ისინი გადაწყვეტილებებს იღებდნენ საქართველოს შესაბამისი სამინისტროების აქტების საფუძველზეც. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საქმიანობას ზედამხედველობდა საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ცენტრალიზებული იყო პროკურატურის სისტემა. ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს არა რომელიმე საქართველოს ორგანო, არამედ პირდაპირ საბჭოთა კავშირის პროკურორი ნიშნავდა. რაიონულ და საქალაქო პროკურორებს, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ნიშნავდა საქართველოს პროკურორი, საბჭოთა კავშირის პროკურორის დამტკიცებით. პროკურატურის ორგანოები თავის საქმიანობას ახორციელებდნენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოებისგან დამოუკიდებლად და ემორჩილებოდნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის პროკურორს (მუხლი 128-130).

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, 1937 წლის 2 აგვისტოს ახალი კონსტიტუცია მიიღო აფხაზეთმაც.[37] აფხაზეთის წინა კონსტიტუციებისგან განსხვავებით, სადაც არ იყო ცალკე გამოყოფილი კონსტიტუციის გადასინჯვის წესი და აფხაზეთი დამოუკიდებლად იღებდა მას, საქართველოს ორგანოების დამტკიცების გარეშე, 1937 წლის კონსტიტუცით ცალკე მუხლი ეთმობა ამ საკითხს და კონსტიტუციის შეცვლა ხდება აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით (მუხლი 114).

კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო სოციალისტური სახელმწიფო

[37] აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1937, 7-33.

(მუხლი 1) და შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებით (მუხლი 13), აფხაზეთის ყოველი მოქალაქე იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის მოქალაქე (მუხლი 17). აფხაზეთის გამგებლობაში სხვა საკითხებთან ერთად შედიოდა: აფხაზეთის კანონმდებლობა; აფხაზეთის სასამართლო ორგანოების მოწყობა; სახელმწიფო წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა; საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კანონების შესაბამისად მიწის, მისი წიაღის, ტყისა და წყლის სარგებლობის წესის კონტროლი და ხელმძღვანელობა (მუხლი 18).

აფხაზეთის ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭო (მუხლი 21), რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით აფხაზეთის მოქალაქეთა მიერ საარჩევნო ოლქების მიხედვით: ერთი დეპუტატი 3 ათას მცხოვრებზე (მუხლი 22). იგი ირჩევდა თავის პრეზიდიუმს, რომელიც განმარტავდა აფხაზეთის კანონებს, გამოსცემდა ბრძანებულებებს, ატარებდა საყოველთაო-სახალხო „დაკითხვას“ (რეფერენდუმს), იწვევდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიებს (მუხლი 30). აფხაზეთის უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო იყო აფხაზეთის მთავრობა - სახალხო კომისართა საბჭო (მუხლი 38), რომელიც აქტებს გამოსცემდა სსრკ-ის, საქართველოს და აფხაზეთის კანონების, ასევე სსრ კავშირის და საქართველოს მთავრობათა აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად და ამოწმებდა მათ შესრულებას (მუხლი 40). აფხაზეთის ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო მოქმედების ზედამხედველობას ახორციელებდა აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო ორგანო − აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო, რომელსაც ირჩევდა თვით აფხაზეთის უმაღლესი საბჭო (მუხლები 75-76).

პროკურატურის ორგანოები თავიანთ ფუნქციებს ახორციელებდნენ ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად და ემორჩილებოდნენ მხოლოდ სსრ კავშირისა და საქართველოს პროკურორს. აფხაზეთის პროკურორს ნიშნავდა სსრ კავშირის პროკურორი, ხოლო აფხაზეთის რაიონულ და საქალაქო პრო-

კურორტებს – საქართველოს პროკურორი სსრ კავშირის პროკურორის დამტკიცებით (მუხლები 82-84).[38]

სტატუსი საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციით.[39] საქართველოში არსებული ავტონომიების შესახებ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც იყო აღნიშნული. საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები (მუხლი 84). მათ ერთნაირი სტატუსი და უფლებამოსილება გააჩნდათ. მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს შემადგენლობაში ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნის დამტკიცება სსრკ გამგებლობას განეკუთვნებოდა (მუხლი 72.1.).[40] ავტონომიებს ჰქონდათ თავისი კონსტიტუციები, რომლებიც შეესაბამებოდა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციას და ითვალისწინებდა ავტონომიის თავისებურებებს. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – უმაღლესი საბჭო იღებდა კანონებს, დამოუკიდებლად იღებდა ავტონომიის კონსტიტუციას, ბიუჯეტს, ქმნიდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მთავრობას. ავტონომიას ჰქონდა თავისი უმაღლესი სასამართლო, რომელსაც ირჩევდა ავტონომიის უმაღლესი საბჭო. ავტონომიის პროკურორს უშუალოდ ნიშნავდა სსრკ გენერალური პროკურორი. პროკურატურის ორგანოები თავის უფლებამოსილებას ახორციელებდნენ „ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად“ და „მხოლოდ საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებოდნენ“ (მუხლი 167). საქართველოს გამგებლობას განეკუთვნებოდა საქართველოს კონსტიტუციასთან ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისობის უზრუნველყოფა (მუხლი 72.2), ახალი ავტონომიების შექმნა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა (მუხლი 72.3).[41]

---

[38] იქვე.

[39] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1978 წლის 15 აპრილი, თბილისი, 1978.

[40] იქვე.

[41] იქვე.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება ჰქონდა სსრ კავშირისა და საქართველოს უფლებათა ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად გადაეწყვიტა მის გამგებლობაში შემავალი საკითხები (მუხლი 79). საქართველოს კანონი შესასრულებლად სავალდებულო იყო ავტონომიის ტერიტორიაზე. თუკი ავტონომიის კანონი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონს, მოქმედებდა საქართველოს კანონი (მუხლი 82).

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს უმაღლეს საბჭოში (მუხლი 108). საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უზრუნველყოფდა ავტონომიური რესპუბლიკის კანონების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონებთან (მუხლი 115.4), იგი აუქმებდა ავტონომიის მთავრობის აქტებს, თუ ისინი არ შეესაბამებოდა კანონს (მუხლი 115.10). საქართველოს უმაღლესი საბჭო ადგენდა და ცვლიდა ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებს, ამტკიცებდა ავტონომიების რაიონულ დაყოფას.

ავტონომიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თანამდებობრივად შედიოდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში. საქართველოს მინისტრთა საბჭოს უფლება ჰქონდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეეჩერებინა ავტონომიის მთავრობის აქტები (მუხლი 128). ავტონომიის მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება ჰქონდა გაეუქმებინა რაიონული/საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები, ასევე ავტონომიის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და მათი სხვა საქვეუწყებო დაწესებულებების აქტები (მუხლი 135). ავტონომიის სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ექვემდებარებოდნენ როგორც ავტონომიის მინისტრთა საბჭოს, ასევე საქართველოს შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს (მუხლი 136).

ამდენად, საქართველოს ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი ავტონომიაზე ზედამხედველობა გამოიხატებოდა მისი აქტების გაუქმებით/შეჩერებით – საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აუქმებდა ავტონომიის მთავრობის დადგენილებებს,

თუ ისინი არ შეესაბამებოდა კანონს, ხოლო საქართველოს მინისტრთა საბჭოს ჰქონდა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ავტონომიის მთავრობის აქტების შეჩერების უფლება. ავტონომია დამოუკიდებლად იღებდა თავის კონსტიტუციას და ის შესაბამისი უნდა ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობასთან. არ იყო გათვალისწინებული კონსტიტუციის დამტკიცების პროცედურა საქართველოს ხელისუფლების მიერ.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, ამავე წელს აფხაზეთმა მიიღო თავისი კონსტიტუცია.[42] აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა ხალხს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც აფხაზეთის ასსრ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენდნენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარებოდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებული იყო მის წინაშე (მუხლი 2). გათვალისწინებული იყო ადგილობრივი რეფერენდუმიც: სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილებოდა, აგრეთვე გადაეცემოდა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის) (მუხლი 5). აფხაზეთის კანონების პროექტები და „ავტონომიის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოტანილიყო სახალხო განხილვისათვის (მუხლი 98).

აფხაზეთი იყო საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში (მუხლი 64). აფხაზეთი მონაწილეობდა საქართველოს და სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში, საქართველოს და სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების მეშვეობით (მუხლი 67). აფხაზეთი განსაზღვრავდა თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წყობილებასთან დაკავშირებულ

[42] აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1978, 3-41.

სხვა საკითხებს (მუხლი 72). აფხაზეთის მინისტრთა საბჭო უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომელიც აფხაზეთის გამგებლობაში იყო, თუ ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედიოდა (მუხლი 114). აღარ იყო გათვალისწინებული აფხაზეთის კონსტიტუციის დამტკიცების ვალდებულება საქართველოს ხელისუფლების მიერ: აფხაზეთის კონსტიტუციის შეცვლა ხდებოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც იღებდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დეპუტატთა საერთო რაოდენობის 2/3-ის უმრავლესობით (მუხლი 163).[43]

1978 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ"[44], რომელიც ავტონომიების მთავრობებთან ურთიერთობის საკითხსაც აწესრიგებდა: საქართველოს მინისტრთა საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში წარმართავდა და ამოწმებდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და აჭარის მინისტრთა საბჭოს მუშაობას. საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს გამგებლობას განეკუთვნებოდა, მონაწილეობდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭო და აჭარის მინისტრთა საბჭო. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება ჰქონდა შეეჩერებინა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება (მუხლი 19).

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. 1990 წლის 9 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი გამოაცხადა. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული მოძრაობა სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა საზოგადოებაში, ამგვარი ტენდენციით შეშინებულმა სსრკ-ს უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის 3 აპრილს მიიღო კანონი, რომლის მიხედ-

[43] იქვე.
[44] საქართველოს სსრ კანონთა წიგნი, ტომი I, 1985, 233-251.

ვითაც სსრკ-ში შემავალი ნებისმიერი საკავშირო რესპუბლიკის მიერ ამ კავშირის დატოვების შემთხვევაში, ამ რესპუბლიკებში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს უფლება ეძლეოდათ რეფერენდუმის საფუძველზე, თავად გადაეწყვიტათ სსრკ-ში დარჩენისა თუ მისი დატოვების საკითხი.[45] ამ კანონმა ძლიერი ბიძგი მისცა ისედაც მწვავე სეპარატისტულ ტენდენციებს აფხაზეთში.[46]

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საკანონმდებლო აქტი: „დეკლარაცია აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ეს დოკუმენტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ-ს და აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ს მიერ 1977-1978 წელს შემუშავებულ კონსტიტუციებს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სეპარატისტების მიერ ზემოაღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა კვორუმის არარსებობის პირობებში, რადგან საბჭოს კრებას 138 დეპუტატიდან მხოლოდ 68 (ნახევარზე ნაკლები) დეპუტატი ესწრებოდა.[47] მეორე დღესვე საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ზემოაღნიშნული აქტი უკანონოდ გამოცხადდა.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადა ფაქტობრივად დამთავრდა 1990 წლის 25 თებერვალს, თუმცა ამავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების თარიღად განისაზღვრა არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა, ხოლო აფხაზეთის უზენაეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 1991 წლის 15 მარტამდე.

1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც ქვოტირების პრინციპს ითვალისწინებდა: აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში უნდა ყოფილიყო 65 დეპუტატი,

---

[45] О Порядке решения Вопросов, Связанных с Выходом Союзной Республики из СССР, Закон, Верховный Совет СССР, 3 апреля 1990, 90-15.

[46] ყალიჩავა კ., კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2019, 136.

[47] Гамахария Дж., Очерки из Истории Грузии, Абхазия с Древнейших Времён до Наших Дней, Тбилиси, 2009, 534.

საიდანაც 28 იქნებოდა აფხაზი ეროვნების; 26 – ქართველი და 11 – სხვა დანარჩენი ეროვნების მქონე; მხარეთა შეთანხმების შედეგად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზური ქვოტით არჩეული დეპუტატი, ხოლო მისი პირველი მოადგილე – ქართული ქვოტით არჩეული დეპუტატი იქნებოდა. ასევე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე – აფხაზი ეროვნების. აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედუროსი) უნდა მიღებულიყო ხმათა 2/3-ით (44 ხმა), რაც ქართული და აფხაზური მხარის დეპუტატთა ურთიერთკომპრომისს ნიშნავდა.

მას შემდეგ, რაც პროტესტის ნიშნად აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მუშაობაში აღარ მონაწილეობდა ქართული დელეგაცია, 1992 წლის 23 ივლისს მათ უკანონოდ, შეწყვეტილად გამოაცხადეს აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინეს აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია.

1994 წლის 10 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, თუმცა მას შემდეგ, რაც გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ კვლავ უკანონოდ გააგრძელა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, მიიღო ე.წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. 1995 წლის 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით ისევ აღადგინა საბჭოს იმ წევრთა უფლებამოსილება, რომლებიც რეალურად გამოხატავდნენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ (უმაღლეს საბჭოდ) ცნო 1991 წლის ოქტომბერში აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული 26 დეპუტატი.[48] შედეგად,

[48] საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ“.

უმაღლესი საბჭოს ეს 26 დეპუტატი ჩაითვალა შემდგომში აფხაზეთის უმაღლეს საბჭოდ. 1995 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის გამო, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნენ აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები.[49] 1996 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივ აღდგენამდე.[50]

2000 წლის 8 დეკემბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დადგენილებით, გარკვეული ცვლილებების შეტანით, მიიღო აფხაზეთის ასსრ 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. მისი მიზანი იყო 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა. აფხაზეთის კონსტიტუციის მოქმედების ვადა განისაზღვრა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე და აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე იგი იმოქმედებდა როგორც აფხაზეთის ძირითადი კანონი. მისი მიღების საფუძველი იყო აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის 93-ე მუხლი („აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მიღებას, მასში ცვლილებების შეტანას მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ახორციელებს“). საქართველოს კონსტიტუციის დებულება იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, ჩაიწერა 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებით, რომლის შედეგად ლოგიკურია, რომ ჯერ სწორედ კონსტიტუციური კანონი უნდა იქნეს მიღებული, ხოლო შემდეგ მისი პრინციპების საფუძველზე – აფხაზეთის კონსტიტუცია. 2000 წლისთვის ეს უკანასკნე-

[49] საქართველოს პარლამენტის უწყებები, N27-30 (644-647), თბილისი, 1995, 206-207.

[50] საქართველოს პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, № 1-2 (33-34/7), 2.

ლი საფუძველი არ არსებობდა და, შესაბამისად, კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებას მხოლოდ აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის 93-ე მუხლი დაედო საფუძვლად.

მართალია 2000 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის მიზანს საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა, მაგრამ კონსტიტუციაში ისევ დარჩა ბევრი საკითხი, რომელიც კომპეტენციების გამიჯვნის თვალსაზრითიც ვერ იქნებოდა აფხაზეთის გამგებლობაში და, შესაბამისად, ამ კონსტიტუციის რეგულირების სფერო.[51] მაგალითად, კონსტიტუციის მე-2 თავი ეთმობოდა მოქალაქეობას და ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებს. მართალია ეს თავი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი თავის იდენტური იყო აფხაზეთზე გარკვეული დათქმებით, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ადამიანის უფლებები არ წარმოადგენდა აფხაზეთის კანონმდებლობით მოსაწესრიგებელ სფეროს და მხოლოდ საქართველოს კანონით იყო შესაძლებელი მისი დარეგულირება. ასევე აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი განსაზღვრავდა რაიონულ დაყოფას და წყვეტდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მუხლი 72), იქმნებოდა აფხაზეთის სახალხო დამცველის თანამდებობა (მუხლი 57), მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანო იყო აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობდა მართლმსაჯულების განხორციელებას აფხაზეთის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებში (მუხლი 148), აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში იქმნებოდა მისი პრეზიდიუმი (მუხლი 149) და სხვ. ეს ყოველივე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას. 2019 წლის ცვლილებით აფხაზეთის კონსტიტუცია შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს კანონმდებლობასთან.

1992 წლის „საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ აფხაზეთს ავტონომიურ რესპუბლიკად

[51] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის 6 ივნისის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 2000 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებით.

მოიხსენიებდა[52], მაგრამ 1995 წლის კონსტიტუციამ თავდაპირველად აფხაზეთის სტატუსი ღიად დატოვა და მას ზოგადად „აფხაზეთი“ უწოდა[53]. მხოლოდ 2002 წლის 10 ოქტომბრის კონსტიტუციური ცვლილებით დაზუსტდა მისი სტატუსი და ეწოდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“. დამატებით დადგინდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (მუხლი 3.4).[54]

დასკვნა. ამდენად, ჩვენი საკვლევი პერიოდიდან და თემის ფარგლებიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ 1917-1918 წლების სამართლებრივი დოკუმენტებით აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გარკვეული ნიშნები გადაეცემოდა საქართველოს სახელმწიფოს, 1919 წლიდან კი საქართველოს და აფხაზეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე აფხაზეთი ოფიციალურად ავტონომიური ერთეულია, რაც შემდგომ განმტკიცდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით.

1921-1931 წლებში აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი, ავტონომიაზე უფრო ძლიერი უფლებამოსილების მქონე სუბიექტია საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებული „განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულების“ საფუძველზე და უფლებამოსილებით უტოლდება ფედერალური ერთეულის სტატუსის მქონე ერთეულს: აფხაზეთს სრულად ჰქონდა მიკუთვნებული თავისი საშინაო პოლიტიკის და სახალხო მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობის უფლება; გააჩნდა საკუთარი მოქალაქეობა და მისი მოქალაქეები ითვლებოდნენ საქართველოს მოქალაქეებად; აფხაზეთის შემოსავლები მხოლოდ მას რჩებოდა; მის ორგანოებს ჰქონდათ ამნისტიისა და შეწყალების უფლება; აფხაზეთის მინისტრები

---

[52] საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, 1992 წლის 6 ნოემბერი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 30/11/1992, მუხლები 3, 5.

[53] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 4, 8, 55, 67, 89.

[54] „საქართველოს კონსტიტუციაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი.

მოქმედებდნენ საქართველოს მინისტრებისგან დამოუკიდებლად, თუმცა აწვდიდნენ ერთმანეთს ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ; აფხაზეთი სარგებლობდა ე.წ. ნარჩენი უფლებამოსილებით საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროში და სხვ.

1931 წლიდან აფხაზეთი ავტონომიური ერთეულის სტატუსით შევიდა საქართველოს შემადგენლობაში და სარგებლობდა აჭარის ავტონომიის მსგავსი კომპეტენციით. მისი კომპეტენციის ფარგლები თანდათანობით სუსტდებოდა საქართველოსა და აფხაზეთის შემდგომ მიღებული კონსტიტუციებით. აფხაზეთს ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი საკუთარი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, რომელსაც მისივე წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო იღებდა, თვითონ ირჩევდა ავტონომიის ორგანოებს, აფხაზეთის მთავრობის აქტების გაუქმების უფლება ჰქონდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, ავტონომიის მთავრობის საქმიანობას წარმართავდა და ამოწმებდა საქართველოს მთავრობა და უფლება ჰქონდა შეეჩერებინა მისი აქტები, ავტონომიის სამინისტროები ექვემდებარებოდნენ როგორც ავტონომიის მინისტრთა საბჭოს, ასევე საქართველოს შესაბამის სამინისტროებს; აფხაზეთს გააჩნდა თავისი უზენაესი სასამართლო, რომლის საქმიანობას ზედამხედველობდა საქართველოს უზენაესი სასამართლო, პროკურატურის ორგანოები ემორჩილებოდნენ როგორც სსრ კავშირის, ასევე საქართველოს პროკურორს.

ამჟამად მოქმედებს 1978 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის 2000 წლის რედაქცია, გარკვეული ცვლილებებით. აფხაზეთის სტატუსისა და მისი კომპეტენციის განსაზღვრის შედეგად, მომავალში საქართველოს პარლამენტი მიიღებს საქართველოს კონსტიტუციურ კანონს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, ხოლო აფხაზეთის უმაღლესი საბჭო – მის შესაბამის აფხაზეთის კონსტიტუციას.